გენდერის გავლენა ავტოდაზღვევის ზარალიანობაზე

მედეა თოდაძე

ბონდო ქალიაშვილი

ნუნუ ნავდარაშვილი

ჯგუფის N1

სამაგისტრო პროექტის ანგარიში წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლაში

პროექტის ხელმძღვანელი:

თენგიზ ვერულავა

მედიცინის აკადემიური დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ბონდო ქალიაშვილი

მედეა თოდაძე

ნუნუ ნავდარაშვილი

18.06.2016

აბსტრაქტი

მსოფლიოში ჯანმრთელობის დაზღვევის შემდეგ ყველაზე მოთხოვნადია ავტომობილის დაზღვევა. ზოგიერთ ქვეყანაში იმ რისკ-ფაქტორებიდან, რომელსაც ამ პროდუქტის ტარიფის დათვლისას იყენებენ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია გენდერი.

საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე არ ითვალისწინებენ გენდერის ფაქტორს. ჩვენი კვლევის მიზანია დავადგინოთ უნდა ითვალისწინებდნენ თუ არა გენდერის რისკ-ფაქტორს ავტომობილის დაზღვევის ტარიფის დათვლისას. კვლევის მიზნების გამოსავლენად ჩატარდა, როგორც თვისებრივი კვლევა, ასევე მეორადი მონაცემების რაოდენობრივი ანალიზი.

ჩვენი სამაგისტრო კვლევის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია კითხვარი ჩაღრმავებული ინტერვიუ, რომლის საშუალებითაც გვსურს გავიგოთ საქართველოში არსებული სადაზღვვო კომპანიების დამოკიდებულება საკვლევი მასალის საკითხებზე, მათი დამოკიდებულება გენდერის მიხედვით ტარიფის დათვლაზე, თუ რამდენად არიან ისინი ორიენტირებულები ამ მიდგომების დანერგვაზე საკუთარ ორგანიზაციებში. ასევე გვსურს გავიგოთ რა რისკ ფაქტორებს ითვალისწინებენ ტარიფის დადგენისას.

კვლევის ობიექტია საქართველოს ბაზარზე არსებული სადაზღვევო კომპანიები. ჩვენი ანალიზისა და სტატისტიკური მონაცემების გათვალისწინებით აუცილებელია სადაზღვევო კომპანიებმა ფასის დათვლისას აქცენტი გააკეთონ სქესზე, ასაკსა და სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებზე. გენდერის გათვალისწინება მათ საშუალებას მისცემს შედარებით დაბალი ფასი შესავაზონ მომხმარებელს იმ სადაზღვევო კომაპანიებთან შედარებით, რომლებიც გასაშუალებულ ტარიფს სთავაზობს მომხმარებელს.

სტატისტიკური კვლევის შედეგების მიხედვით გამოვავლინეთ, რომ ქალები ნაკლებ ზარალიანები არიან, ვიდრე მამაკაცები. ორივე მაჩვენებელი ზარალების სიხშირე და საშუალო ზარალი შედარებით დაბალია ქალების შემთხვევაში.

კვლევების შედეგად შეგვიძლია დავასკნათ, რომ აუცილებლად უნდა მოხდეს ტარიფის დათვლის დროს გენდერის გათვალისწინება სადაზღვევო ბაზრის მართვის და ისეთი პორტფელის შექმნისათვის, სადაც ცოტას ზარალები ანაზღაურდება

ბევრის შენატანების ხარჯზე და პროპორციული იქნება იმ რისკის, რომელიც მათ შეაქვთ ამ პორტფელში.

ძირითადი საძიებო სიტყვები: გენდერი, ტარიფი, საქართველო, სადაზღვევო ბაზარი.

Abstract

Automobile insurance is the world's most in-demand service after health insurance products. In certain countries, the issue of a gender represents one of the important risk factors that are applied for the product tariff calculation.

The factor of a gender is ignored on the Georgian insurance market. The objective of our research work is to determine whether the gender risk factor should be used for the automobile insurance tariff calculation. Both qualitative research and quantitative analysis of secondary data information were conducted for attaining the research goals.

A questionnaire for comprehensive interview is one of the constituent parts of our MA research work that aims to emphasize the attitude of Georgia-based insurance companies towards the issues covered by these research materials, their attitude towards the gender-based tariff calculation and to determine how they are oriented on establishing these approaches in their own organizations. We also want to learn what risk factors they envision for the tariff calculation.

The research work drops a scope on Georgia-based insurance companies. Based on our analysis and statistical indicators, it is necessary that insurance companies make focus on gender, age and other important factors in the price calculation process. Having taken into account the gender factor, they will be able to offer comparatively lower prices to the consumers compared to those insurance companies that offer averaged tariffs.

The statistical research works have showed that women are less detrimental compared to males. Both indicators, frequency of losses and averaged losses are comparatively lower among women.

The research works enable us to conclude that the gender factor must be envisioned in the tariff calculation process for managing the insurance market and creating the portfolio, where losses of the few part will be remunerated at the expense of the major part and will be proportional to the risks that they include in the portfolio.

Basic Search Words: Gender, Tariff, Georgia, Insurance Market